წალკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სხდომის

ოქმი # 10

ქ. წალკა; 30.08. 2024 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა – ირაკლი გიგინეიშვილი;
საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 23 დეპუტატი: რადიკ სარკისიან, ანტარამ მელტონიან, ნუგზარ ჩამურლიევი, ლევონ მარკოსიან, ჯემალ ბერიძე, მანანა გულედანი, სარკის ოგანესიან, იდა ბალაბანოვა, ალექსეი მუხსიევი, რუბენ ანესიან, მარინე ირემაძე, ჯემალ ნაკაიძე, ლაერტ ტოროსიან ჯონი საბაძე, მალხაზ მგელაძე, გურამ მგელაძე, მერაბ იაკობაძე, ნოდარ ბერიძე, მამია ირემაძე, ასლან მგელაძე, ჯონი ღორჯომელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
წალკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ანზორ ხინიკაძე;**
სხდომა დაიწყო: 11:00 სთ;
სხდომა დასრულდა: 11:35 სთ;

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილების პროექტი „წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივლისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა-ნაგებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია)“;
3. განკარგულების პროექტი წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2024 წლის აგვისტოს თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს;
საკრებულომ ღია კენჭისყრით (23 მომხრე, 0 წინააღმდეგი) ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. დადგენილების პროექტი „წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივლისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ირაკლი გიგინეიშვილი წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებლები: ანზორ ხინიკაძე წალკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, მელიტონ პაკელიანი - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, ნუგზარ ჩამურლიევი საკრებულოს სიცრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;

2. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა-ნაგებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია)";

/მომხსენებელი: ანზორ ხინიკაძე წალკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;

თანამომხსენებელი: ნუგზარ ჩამურლიევი საკრებულოს სიცრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;

3. განკარგულების პროექტი წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2024 წლის აგვისტოს თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ".

/მომხსენებელი: ჯემალ ბერიძე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი;

სხდომამ განიხილა:

1. დადგენილების პროექტი „წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივლისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა: ირაკლი გიგინეიშვილმა საკრებულოს გააცნო დადგენილების პროექტი;

თანამომხსენებელმა: ანზორ ხინიკაძემ საკრებულოს გააცნო წალკის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, მელიტონ პაკელიანმა საკრებულოს გააცნო სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე ნუგზარ ჩამურლიევმა საკრებულოს გააცნო სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.

დადგენილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით (21 მომხრე, 0 წინააღმდეგი), (დადგენილება N9 თან ერთვის);

2. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა-ნაგებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია)";

მომხსენებელმა: ანზორ ხინიკაძემ საკრებულოს გააცნო განკარგულების პროექტი;

თანამომხსენებელმა: ნუგზარ ჩამურლიევმა საკრებულოს გააცნო სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.

განკარგულება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით (21 მომხრე, 0 წინააღმდეგი), (განკარგულება #გ-119.11924243001 თან ერთვის);

3. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2024 წლის აგვისტოს თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ"

/მომხსენებელმა: ჯემალ ბერიძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრმა საკრებულოს გააცნო განკარგულების პროექტი;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ;

- განკარგულება მიღებულ იქნა ხმათა უმრავლესობით (20 მომხრე, 0 წინააღმდეგი) (განკარგულება #გ-119.119242432 თან ერთვის);

სხდომის თავმჯდომარე ი.გიგინეიშვილი **ი.გიგინეიშვილი**